ხსოვნა

ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ლეო ჩიქავა

ქართულმა ეკონომიკურმა მეცნიერებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერ-ეკონომისტი, დემოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ლეო ჩიქავა.

დაიბადა 1928 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ასევე წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და ასპირანტურა პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ხელმძღვანელობით 1954 წელს ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1968 წელს სადოქტორო დისერტაციები. 40 წლის ასაკში მოპოვებული ჰქონდა პროფესორი სამეცნიერო წოდება. სხავდასხვა დროს მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უფროს-მასწავლებლად, დოცენტად, პროფესორად, კათედრის გამგედ, უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგედ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორად, პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორად, სახელმწიფო სამსახურის მართვის, მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსად. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის პროფესორად.

პროფესორი ლეო ჩიქავა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას წარმატებით უთავსებდა ნაყოფიერ მეცნიერულ კვლევა-ძიებას. იყო 200-ზე მეტი გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომის ავტორი. მათ შორის ცალკე წიგნადაა გამოშვებული 40-მდე მონოგრაფიული გამოკვლევა, სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო და ბროშურა ეკონომიკური თეორიის და დემოგრაფიის აქტუალურ პრობლემებზე. მისი მრავალმხირვი მეცნიერული კვლევის შედეგები ფართოდაა ასახული არა მარტო ქართულ, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში. იგი საინტერესო და მწვავე მეცნიერული პრობლემების შემცველი მოხსენებებით წარსდგა საერთაშორისო კონფერენციებზე იტალიაში, გერმანიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუმინეთში, უნგრეთსა და რუსეთში. მისი ხემლძღვანელობით დაცულია 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იყო მრავალი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და წევრი. პროფ. ლ. ჩიქავა იყო ქართულ ენაზე გამომავალი ეკონომიკური პროფილის თითქმის ყველა საერთაშორისო ჟურნალის, აგრეთვე უცხოური ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების აქტიური წევრი. მისი რედაქტორობით გამოიცა ათეულობით ნაშრომი. ასევე იყო სწავლულ ექსპერტთა საბჭოსთან არსებული ეკონომიკის დარგობრივი სექციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ბიუროს თავმჯდომარე, მთიანეთის შემსწავლელი და ჰუმანიტარულ მეცნეირებათა კომისიის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

პროფესორი ლეო ჩიქავა ეწეოდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო სხვადასხვა სამთავრობო კომისიის, სამეცნიერო ასოციაციის და საზოგადოების წევრი, არჩეული იყო ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესიის დემოგრაფიის და მიგრაციის პალატის თავმჯდომარედ. მთავრობას

წარედგინა მისი არაერთი მოხსენებითი ბარათი ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე.

ლ. ჩიქავა ღირსეული მოწაფე იყო თავისი მასწავლებლის — აკადემიკოსი პაატა გუგუშვილის, რომელმაც საფუძველი დაუდო საქართველოში დემოგრაფიულ მეცნიერებას. პროფ. ლ. ჩიქავამ შემდგომი განვითარება მისცა ამ მამულიშვილურ საქმეს — მისი ინიციატივით და ძალისხმევით დაარსდა დემოგრაფიის და სოციოლოგიური კვლევითი ინსტიტუტი, იყო მისი დირექტორი. სიცოცხლის ბოლომდე უძღვებოდა მისივე ინიციატივით დაარსებულ ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიას როგორც პრეზიდენტი.

პროფესორი ლეო ჩიქავა არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატად. მისი ხელმოწერა ამშვენებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

პროფესორი ლეო ჩიქავა მრავალი სამთავრობო ჯილდოს კავალერი იყო. მისმა ნაშრომებმა მრავალგზის დაიმსახურეს პრესტიჟული სახელობითი პრემიები.

წავიდა ჩვენგან მაღალი კულტურის, შესანიშნავი ერუდიციის, გამორჩეული ორატორული ოსტატობისა და არასტანდარტული აზროვნების, მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. მძიმეა ეს დანაკლისი ქართული საზოგადოებრიობისათვის და განსაკუთრებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის, სადაც მან გაატარა ახალგაზრდობისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობის ოცდაოთხი წელიწადი.

ვემშვიდობებით მრავალმხრივ განათლებულ, ინტელიგენტურობით და აკადემიური დახვეწილობით გამორჩეულ, ახალგაზრდობისათვის, კოლეგებისთვის, მეგობრებისათვის, უსაყვარლეს ადამიანს.

უფალმა ნათელში დაუმკვიდროს მას სასუფეველი.

სტუ-ს რექტორატი,
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი,
საინჟინრო-ეკონომიკის დეპარტამენტი